Subtopic ATMB 7.1 — Airborne safety nets

Subtopic ATM 7.2 — Ground-based safety nets

### TOPIC ATM 8 —DATA DISPLAY

Subtopic ATM 8.1 — Data management

### TOPIC ATM 9 —OPERATIONAL ENVIRONMENT (SIMULATED)

Subtopic ATM 9.1 — Integrity of the operational environment

Subtopic ATM 9.2 — Verification of the currency of operational procedures

Subtopic ATM 9.3 — Handover-takeover

### TOPIC ATM 10 —PROVISION OF CONTROL SERVICE

Subtopic ATM 10.1 — Responsibility and processing of information

Subtopic ATM 10.2 — ATS surveillance service

ქვეთემა ATM 1.4 - საჰაერომომძრაობის მომსახურების სისტემების მოცულობა და

საჰაერო მოძრაობის ნაკადების მართვა

ქვეთემა ATM 1.5 -საჰაერო სივრცის მართვა (ASM)

### თემა ATM 2 -კომუნიკაცია

ქვეთემა ATM 2.1 - ეფექტური კომუნიკაცია

### თემა ATM 3 - სამეთვალყურეო ნებართვები და ინსტრუქციები

ქვეთემა ATM 3.1 –სამეთვალყურეონებართვების სახეობები და შინაარსი

ქვეთემა ATM 3.2 –სამეთვალყურეოინსტრუქციები

### თემა ATM 4 - კოორდინაცია

ქვეთემა ATM 4.1 – კოორდინაციის აუცილებლობა

ქვეთემა ATM 4.2 – კოორდინაციის საშუალებები და მეთოდები

ქვეთემა ATM 4.3 - კოორდინაციის პროცედურები

### თემა ATM 5 -ალტიმეტრია და სიმაღლეების განაწილება

ქვეთემა ATMB 5.1 - ალტიმეტრია

ქვეთემა ATMB 5.2- რელიეფის გადაფრენის სიმაღლე

### თემა ATM 6 – ეშელონირება

ქვეთემა ATMB 6.1 – ვერტიკალური ეშელონირება

ქვეთემა ATMB 6.2 – -დაკვირვების რეჟიმში გასწვრივი ეშელონირება

ქვეთემა ATM 6.3 — -სხ-ის კვალის ტურბულენტობაზე დაფუძნებული

ეშელონირება (მანძილის გათვალისწინება)

ქვეთემა ATM 6.4 — -საჰაერო მოძრაობის მომსახურების დაკვირვების რეჟიმის

სისტემებზე დაფუძნებული ეშელონირება

### თემა ATM 7 –საბორტო და მიწისზედა უსაფრთხოების სისტემის ქსელები

ქვეთემა ATM 7.1 - საბორტო უსაფრთხოების ქსელები

ქვეთემა ATM 7.2 — მიწისზედა გაფრთხილების ავტომატური სისტემა

### თემა ATM 8 – მონაცემთა ასახვა

ქვეთემა ATM 8.1 – მონაცემების მართვა

### თემა ATM 9 – საექსპლუატაციო (სამუშაო) გარემო(იმიტირებული)

ქვეთემა ATM 9.1 –საექსპლუატაციო (სამუშაო) გარემოს

გამართულობა

ქვეთემა ATM 9.2 –საექსპლუატაციო პროცედურების განახლების გადამოწმება

ქვეთემა ATM 9.3 - მორიგეობის მიღება-გადაბარება.

### თემა ATM 10 - სამეთვალყურეო მომსახურების მიწოდება

<p>Subtopic ATM 10.3 — Traffic management process  Subtopic ATM 10.4 — Handling traffic  Subtopic ATM 10.5 — Control service with advanced system support</p> <p><b>TOPIC ATM11 —HOLDING</b>  Subtopic ATM 11.1 —Holding procedures  Subtopic ATM 11.2 — Holding aircraft  Subtopic ATM 11.3 — Holding in a surveillance environment</p> <p>TOPIC ATM12 —IDENTIFICATION  Subtopic ATM 12.1 — Establishment of identification  Subtopic ATM 12.2 — Maintenance of identification  Subtopic ATM 12.3 — Loss of identity  Subtopic ATM 12.4 — Position Information  Subtopic ATM 12.5 — Transfer of identity</p>	<p>ქვეთემა ATM 10.1 ინფორმაციის დამუშავება და პასუხისმგებლობა  ქვეთემა ATM 10.2 – საჰაერომობილების მომსახურება დაკვირვების რეჟიმით  ქვეთემა ATM 10.3 –საჰაერომობილების მართვის პროცესი  ქვეთემა ATM 10.4 - მოძრაობის მართვა  ქვეთემა ATM 10.5 - სამეთვალყურეო მომსახურება მოწინავე სისტემების მეშვეობით</p> <p><b>თემა ATM11 – მოცდის რეჟიმი</b>  ქვეთემა ATM 11.1 –მოცდის რეჟიმის პროცედურები  ქვეთემა ATM 11.2 – მოცდის რეჟიმში მყოფი საჰაეროხომალდი  ქვეთემა ATM 11.3 საჰაეროხომალდის მოცდა-სამეთვალყურეო დაკვირვების რეჟიმში</p> <p><b>თემა ATM12 — სხ-ის ამოცნობა</b>  ქვეთემა ATM 12.1 — სხ-ის პირველადი ამოცნობა  ქვეთემა ATM 12.2 — ამოცნობილი სხ-ის თვალყურის დევნება  ქვეთემა ATM 12.3 — ამოცნობილი სხ-ის იდენტიფიკაციის დაკარგვა  ქვეთემა ATM 12.4 -ინფორმაცია ადგილმდებარეობაზე  ქვეთემა ATM 12.5 — ამოცნობილი საჰაერო ხომალდის გადაცემა</p>
<p><b>SUBJECT 4:METEOROLOGY</b>  <b>TOPIC MET 1 —METEOROLOGICAL PHENOMENA</b>  Subtopic MET 1.1 — Meteorological phenomena</p> <p><b>TOPIC MET 2 —SOURCES OF METEOROLOGICAL DATA</b>  Subtopic MET 2.1 — Sources of meteorological information</p>	<p><b>საგანი 4: მეტეოროლოგია</b>  <b>თემა MET1 – მეტეოროლოგიური მოვლენები</b>  ქვეთემაMET 1.1 –მეტეოროლოგიური მოვლენები  <b>თემა MET2 – მეტეოროლოგიური მონაცემების წყაროები</b>  ქვეთემაMETB 2.1 – მეტეოროლოგიური ინფორმაციის წყაროები</p>
<p><b>SUBJECT 5:NAVIGATION</b>  TOPIC NAV 1 —MAPS AND AERONAUTICAL CHARTS  Subtopic NAV 1.1 — Maps and charts</p> <p><b>TOPIC NAV 2 —INSTRUMENT NAVIGATION</b>  Subtopic NAV 2.1 — Navigational systems  Subtopic NAV 2.2 — Navigational assistance  Subtopic NAV 2.3 — PBN applications</p>	<p><b>საგანი 5: ნავიგაცია</b>  <b>თემა NAV1 –რუქები და საავიაციო რუკები</b>  ქვეთემაNAV1.1 –რუქები და სქემები</p> <p><b>თემა NAV2 – სახელსაწყო ნავიგაცია</b>  ქვეთემაNAV2.1 –სანავიგაციო სისტემები  ქვეთემაNAV2.2 – სანავიგაციო დახმარება (ხელშეწყობა)  ქვეთემაNAV2.3 – საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაციის გამოყენება</p>
<p><b>SUBJECT 6:AIRCRAFT</b>  <b>TOPIC ACFT 1 —AIRCRAFT INSTRUMENTS</b>  Subtopic ACFT 1.1 — Aircraft instruments</p>	<p><b>საგანი 6: საჰაერო ხომალდი</b>  <b>თემა ACFT1–საჰაეროხომალდის ხელსაწყოები</b>  ქვეთემაACFT1.1 –საჰაერო ხომალდის ხელსაწყოები  <b>თემა ACFT2 –საჰაეროხომალდების კატეგორიები</b></p>

<p><b>TOPIC ACFT 2 —AIRCRAFT CATEGORIES</b> Subtopic ACFT 2.1 — Wake turbulence</p> <p><b>TOPIC ACFT 3 —FACTORS AFFECTING AIRCRAFT PERFORMANCE</b> Subtopic ACFT 3.1 — Climb factors Subtopic ACFT 3.2 — Cruise factors Subtopic ACFT 3.3 — Descent factors Subtopic ACFT 3.4 — Economic factors Subtopic ACFT 3.5 — Environmental factors</p> <p><b>TOPIC ACFT 4 —AIRCRAFT DATA</b> Subtopic ACFT 4.1 — Performance data</p>	<p>ქვეთემა ACFT2.1 – სხ-ის კვალზე ტურბულენტობა <b>თემა ACFT3—საჰაერო ხომალდების საფრენოსნო-ტექნიკურ მახასიათებლებზე მოქმედი ფაქტორები</b> ქვეთემა ACFT3.1 –სიმაღლის აღებისას მოქმედი ფაქტორები ქვეთემა ACFT3.2- საჰაერო ხომალდის კრეისერული ფრენისას მოქმედი ფაქტორები ქვეთემა ACFT3.3 – დაშვებისას მოქმედი ფაქტორები ქვეთემა ACFT3.4 –ეკონომიკური ფაქტორები ქვეთემა ACFT3.5–გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები <b>თემა ACFT 4 – საჰაერო ხომალდების მონაცემები</b> ქვეთემა ACFT4.1 – საფრენოსნო-ტექნიკური მახასიათებლები</p>
<p><b>SUBJECT 7:HUMAN FACTORS</b> <b>TOPIC HUM 1 —INFORMATION PROCESSING</b> Subtopic HUM 1.1 — Cognition and factors influencing it Subtopic HUM 1.2 — Situational awareness Subtopic HUM 1.3 — Decision-making</p> <p><b>TOPIC HUM 2 —FACTORS AFFECTING HEALTH AND WELL-BEING</b> Subtopic HUM 2.1 — Fatigue Subtopic HUM 2.2 — Stress</p> <p><b>TOPIC HUM 3 — THREAT AND ERROR MANAGEMENT</b> Subtopic HUM 3.1 — Threat and error management framework Subtopic HUM 3.2 — Application of threat and error management</p> <p><b>TOPIC HUM 4 —TEAMWORK</b> Subtopic HUM 4.1 —Benefits of teamwork Subtopic HUM 4.2 — Conflict management</p> <p><b>TOPIC HUM 5 —SYSTEMS</b> Subtopic HUM 5.1 — Concept of systems in ATM/ANS</p>	<p><b>საგანი 7: ადამიანური ფაქტორები</b> <b>თემა HUM1 – ინფორმაციის დამუშავება</b> ქვეთემა HUM1.1 – შეცნობა და მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორები ქვეთემა HUM1.2 - სიტუაციური აღქმა ქვეთემა HUM1.3 - გადაწყვეტილების მიღება</p> <p><b>თემა HUM2 – ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე გავლენის მქონე ფაქტორები</b> ქვეთემა HUM2.1 – დაღლილობა ქვეთემა HUM2.2 – სტრესი</p> <p><b>თემა HUM3 –საფრთხისა და შეცდომების მართვა</b> ქვეთემა HUM3.1 – საფრთხისა და შეცდომების მართვის ჩარჩო ქვეთემა HUM3.2 – საფრთხისა და შეცდომების მართვის გამოყენება</p> <p><b>თემა HUM4 – გუნდური მუშაობა</b> ქვეთემა HUM4.1 –გუნდური მუშაობის სარგებელი ქვეთემა HUM4.2 – კონფლიქტების მართვა</p> <p><b>თემა HUM5 – სისტემები</b> ქვეთემა HUM5.1 – სააერონავიაციო მომსახურებაში საჰაერო მოძრაობის ორგანიზების სისტემების კონცეფცია</p>

<p><b>TOPIC HUM 6 —COMMUNICATION</b>  Subtopic HUM 6.1 —Effective communication  Subtopic HUM 6.2 — Effective feedback</p>	<p><b>თემა HUM6 –კომუნიკაცია</b>  ქვეთემა HUM6.1- ეფექტური კომუნიკაცია  ქვეთემა HUM 6.2– ეფექტური უკუკავშირი</p>
<p><b>SUBJECT 8:EQUIPMENT AND SYSTEMS</b>  <b>TOPIC EQPS 1 —VOICE COMMUNICATIONS</b>  Subtopic EQPS 1.1 — Radio communications  Subtopic EQPS 1.2 — Other voice communications</p> <p><b>TOPIC EQPS 2 —AUTOMATION IN ATS</b>  Subtopic EQPS 2.1 — Aeronautical fixed telecommunication network (AFTN)  Subtopic EQPS 2.2 — Automatic data interchange</p> <p><b>TOPIC EQPS 3 —CONTROLLER WORKING POSITION</b>  Subtopic EQPS 3.1 — Operation and monitoring of equipment  Subtopic EQPS 3.2 — Situation displays and information systems  Subtopic EQPS 3.3 — Flight data systems  Subtopic EQPS 3.4 — Use of ATS surveillance system  Subtopic EQPS 3.5 — Advanced systems</p> <p><b>TOPIC EQPS 4 —FUTURE EQUIPMENT</b>  Subtopic EQPS 4.1 — New developments</p> <p><b>TOPIC EQPS 5 —EQUIPMENT AND SYSTEMS LIMITATIONS AND DEGRADATION</b>  Subtopic EQPS 5.1 — Reaction to limitations  Subtopic EQPS 5.2 — Communication equipment degradation  Subtopic EQPS 5.3 — Navigational equipment degradation  Subtopic EQPS 5.4 — Surveillance equipment degradation  Subtopic EQPS 5.5 — ATC processing system degradation</p>	<p><b>საგანი 8: აღჭურვილობა და სისტემები</b>  <b>თემა EQPS 1 –ხმოვანი კომუნიკაცია</b>  ქვეთემა EQPS 1.1 – რადიო კომუნიკაცია  ქვეთემა EQPS 1.2 – სხვა სახის ხმოვანი კომუნიკაცია  <b>თემა EQPS2 –ავტომატიზაცია საჰაერო მოძრაობის მომსახურებაში</b>  ქვეთემაEQPS2.1—სააერონოსო ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელი (AFTN)  ქვეთემაEQPS2.2 - მონაცემთა ავტომატიზებული გაცვლა</p> <p><b>თემა EQPS3 – მეთვალყურის სამუშაო ადგილი</b>  ქვეთემაEQPS3.1–აღჭურვილობის ექსპლუატაცია და მონიტორინგი ქვეთემაEQPS3.2 – ვითარების ამსახველი ეკრანები და საინფორმაციო სისტემები  ქვეთემაEQPS3.3 – საფრენოსნო მონაცემთა სისტემები  ქვეთემა EQPS 3.4 —დაკვირვების რეჟიმით საჰაერო მოძრაობის მომსახურების სისტემების გამოყენება  ქვეთემა EQPS 3.5 — მოწინავე სისტემები</p> <p><b>თემა EQPS4– სამომავლო აღჭურვილობა</b>  ქვეთემაEQPS4.1–ახალი ტექნოლოგიები</p> <p><b>თემა EQPS5 – აღჭურვილობებისა და სისტემების შეზღუდვები და საიმედოობის დაქვეითება</b>  ქვეთემაEQPS5.1– რეაქცია შეზღუდვებზე  ქვეთემა EQPS 5.2 – საკომუნიკაციო აღჭურვილობის საიმედოობის დაქვეითება  ქვეთემაEQPS5.3 – სანავიგაციო აღჭურვილობის საიმედოობის დაქვეითება  ქვეთემა EQPS 5.4 — დაკვირვების რეჟიმის აღჭურვილობის საიმედოობის დაქვეითება  ქვეთემა EQPS 5.5 — საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მონაცემების დამუშავების სისტემის საიმედოობის დაქვეითება</p>
<p><b>SUBJECT 9:PROFESSIONAL ENVIRONMENT</b>  <b>TOPIC PEN 1 —FAMILIARISATION</b>  Subtopic PEN 1.1 — Study visit to area control centre  <b>TOPIC PEN 2 —AIRSPACE USERS</b>  Subtopic PEN 2.1 — Contributors to civil ATS operations</p>	<p><b>საგანი 9: პროფესიული სამუშაო გარემო</b>  <b>თემა PEN1 –სამუშაო გარემოს გაცნობა</b>  ქვეთემაPEN1.1 –გაცნობითი ვიზიტი რაიონულ სამეთვალყურეო ცენტრში  <b>თემა PEN2 – საჰაეროსივრცის მომხმარებლები</b>  ქვეთემაPEN2.1– საჰაერო მოძრაობის მომსახურების სამოქალაქო საქმიანობაში მონაწილე</p>

<p>Subtopic PEN 2.2 — Contributors to military ATS operations</p> <p><b>TOPIC PEN 3 —CUSTOMER RELATIONS</b> Subtopic PEN 3.1 — Provision of services and user requirements</p> <p><b>TOPIC PEN 4 —ENVIRONMENTAL PROTECTION</b> Subtopic PEN 4.1 — Environmental protection</p>	<p>ერთეულები ქვეთემაPENB2.2 –საჰაერო მოძრაობის მომსახურების სამხედრო საქმიანობაში მონაწილე ერთეულები <b>თემა PENB3 – მომხმარებლებთან ურთიერთობა</b> ქვეთემაPENB3.1 –მომსახურების მიწოდება და მომხმარებლის მოთხოვნები <b>თემა PENB4 – გარემოს დაცვა</b> ქვეთემაPENB4.1 – გარემოს დაცვა</p>
<p><b>SUBJECT 10:ABNORMAL AND EMERGENCY SITUATIONS</b> <b>TOPIC ABES 1 —ABNORMAL AND EMERGENCY SITUATIONS (ABES)</b> Subtopic ABES 1.1 — Overview of ABES</p> <p><b>TOPIC ABES 2 —SKILLS IMPROVEMENT</b> Subtopic ABES 2.1 — Communication effectiveness Subtopic ABES 2.2 — Avoidance of mental overload Subtopic ABES 2.3 — Air-ground cooperation</p> <p><b>TOPIC ABES 3 —PROCEDURES FOR ABNORMAL AND EMERGENCY SITUATIONS</b> Subtopic ABES 3.1 — Application of procedures for ABES Subtopic ABES 3.2 — Radio failure Subtopic ABES 3.3 — Unlawful interference and aircraft bomb threat Subtopic ABES 3.4 — Strayed or unidentified aircraft Subtopic ABES 3.5 — Diversions Subtopic ABES 3.6 — Transponder failure Subtopic ABES 3.7 — Interception of civil aircraft</p>	<p><b>საგანი 10: არასტანდარტული და ავარიული სიტუაციები</b> <b>თემა ABES 1 —არასტანდარტული და ავარიული სიტუაციები (ABES)</b> ქვეთემა ABES 1.1 – არასტანდარტული და ავარიული სიტუაციების მიმოხილვა <b>თემა ABES 2 – უნარების გაუმჯობესება</b> ქვეთემა ABES 2.1– კომუნიკაციის ეფექტურობა ქვეთემა ABES 2.2– გონებრივი გადატვირთულობის თავიდან აცილება ქვეთემა ABES 2.3 –თანამშრომლობა საჰაერო ხომალდსა და მიწისზედა პუნქტს შორის <b>თემა ABES 3 – პროცედურები არასტანდარტული და ავარიული სიტუაციებისათვის</b> ქვეთემა ABES 3.1– არასტანდარტული და ავარიული სიტუაციების პროცედურების გამოყენება ქვეთემა ABES 3. 2– რადიოს მტყუნება ქვეთემა ABES 3.3 – მართლსაწინააღმდეგო ქმედება და საჰაერო ხომალდზე ასაფეთქებელი ნივთიერების მუქარა ქვეთემა ABES 3.4 – ორიენტაცია და კარგული ან ამოუცნობი საჰაერო ხომალდი ქვეთემა ABES 3.5 — სხ-ის გადახვევა კურსიდან/მარშრუტიდან. ქვეთემა ABES 3.6 — ტრანსპონდერის მტყუნება ქვეთემა ABES 3.7 - სამოქალაქო საჰაერო ხომალდისთვის გზის გადაჭრა</p>

## დანართი 9. საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეების სასწავლო დაწესებულების მართვის სისტემის მოთხოვნები

### 1. უსაფრთხოების პოლიტიკა

უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა:

- ა) იყოს ხელმოწერილი პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მიერ;
- ბ) მკაფიოდ აფიქსირებდეს უსაფრთხოების უპირატესობას ორგანიზაციულ, კომერციულ, სამუშაო, გარემოს და საზოგადოებრივი ზეწოლის ასპექტებთან;
- გ) მკაფიოდ გამოხატავდეს რომ:
  - გ.ა) მუდმივად უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტის გაუმჯობესებას;
  - გ.ბ) ყოველთვის დააკმაყოფილებს ყველა შესაბამის წესს და შესაბამის სტანდარტებს და გაითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკას;
  - გ.გ) ყოველთვის უზრუნველყოფს საჭირო რესურსებით;
  - გ.დ) უსაფრთხოება არის უპირველესი პასუხისმგებლობა ყველა მმართველისთვის და დასაქმებულისთვის.
- დ) გავრცელდეს ორგანიზაციის ყველა საფეხურზე;
- ე) მოიცავდეს საავიაციო მოვლენების შეტყობინებისა და არადამსჯელობითი კულტურის პრინციპებს;
- ვ) ამკვიდრებდეს და აღრმავებდეს უსაფრთხოების კულტურასა და ცნობიერებას;
- ზ) ექვემდებარებოდეს პერიოდულ განახლებას სასწავლო დაწესებულების საქმიანობასთან მუდმივი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

### 2. საფრთხეების იდენტიფიცირების პროცესი

სასწავლო დაწესებულებების შემთხვევაში, რომლებიც არ ახორციელებენ სამუშაო ადგილზე სწავლებას, საფრთხეების იდენტიფიცირების პროცესი შეიძლება შემოიფარგლოს იმის დემონსტრირებით, რომ ორგანიზაციის საქმიანობა არ უკავშირდება უსაფრთხოებაზე ზეგავლენის მქონე საფრთხეებს. მიუხედავად ამისა, სამომავლოდ სწავლება უნდა იყოს ისე დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო ოპერირება.

### 3. პერსონალი

სასწავლო დაწესებულებამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ:

- ა) შემუშავებული აქვს საქმიანობის სფეროების ჩამონათვალი სათანადო კომპეტენციის მითითებით;
- ბ) პერსონალს გააჩნია თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი კომპეტენცია;
- გ) პერსონალი ინარჩუნებს სავალდებულო კომპეტენციას სასწავლო კურსების გავლის გზით;
- დ) მათი თეორიული და პრაქტიკული კურსების ინსტრუქტორებს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია;
- ე) პრაქტიკული მომზადების ინსტრუქტორებს გააჩნიათ სამუშაო ადგილზე სწავლების ინსტრუქტორის ან საწაფზე სწავლების ინსტრუქტორის დაშვება;
- ვ) შემფასებლებს გააჩნიათ შემფასებლის სათანადო დაშვება; და
- ზ) საწაფის ინსტრუქტორებსა და შემფასებლებს გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გადიან განმეორებით სასწავლო კურსებს რეალურ სამუშაო გარემოში.

### 4. პროცესები

სასწავლო დაწესებულებამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მართვის სისტემა:

- ა) ახორციელებს ზედამხედველობას მოქმედ პოლიტიკაზე, პროცესებსა და პროცედურებზე, იმის დასადგენად, რომ ისინი გადიან პერიოდულ განახლებას, საჭიროების შემთხვევაში, მათი მუდმივი სიზუსტისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბ) იძლეოდეს პოლიტიკის, პროცესებისა და პროცედურების დაუგეგმავად გაუმჯობესებისა და განახლების პერიოდების შუალედებში ცვლილებების ინიცირების საშუალებას;
- გ) აკონტროლებს, ინახავს და ახდენს სისტემის პოლიტიკაში, პროცესებსა და პროცედურულ დოკუმენტაციაში ცვლილებების თვალსაჩინო იდენტიფიკაციას.
- დ) მოიცავს შიდა დოკუმენტაციის რეესტრს, რომელშიც შესულია ყველა პოლიტიკა, პროცესი და პროცედურა;
- ე) მოიცავს სულ მცირე შემდეგს:
- ე.ა) დოკუმენტაციის რეესტრს;
  - ე.ბ) სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატს; ორგანიზაციის სტრუქტურას;
  - ე.გ) პერსონალის ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს;
  - ე.დ) სახელმძღვანელოებს, კურსებს და გეგმებს;
  - ე.ე) დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ აკმაყოფილებს ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს;
  - ე.ვ) ცვლილებების კონტროლის პროცესს;
  - ე.ზ) უსაფრთხოების მართვის სახელმძღვანელოს;
  - ე.თ) ინსტრუქტორების და შემფასებლების კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ჩანაწერებს.

## 5. შესაბამისობის ზედამხედველობა

- ა) შესაბამისობაზე ზედამხედველობის ფუნქციის დანერგვა და გამოყენება სასწავლო დაწესებულებას შესაძლებლობას აძლევს, განახორციელოს ზედამხედველობა იმაზე, თუ რამდენად სრულდება ამ წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- ბ) სასწავლო დაწესებულების შესაბამისობაზე ზედამხედველობის ფუნქციის შემსრულებელი ქვედანაყოფის ძირითადი სტრუქტურა უნდა განისაზღვროს მასზე დაკისრებული საქმიანობის გათვალისწინებით.
- გ) შესაბამისობაზე ზედამხედველობის ქვედანაყოფის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო დაწესებულების საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება ზედამხედველობას.

## 6. შესაბამისობის ზედამხედველობის სისტემა

- ა) სასწავლო დაწესებულება უნდა ახორციელებდეს შესაბამისობის ზედამხედველობას ისეთ პროცედურებთან, რომლებიც დადგენილია უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის, მათ უნდა განახორციელონ შესაბამისობაზე ზედამხედველობა მინიმუმ შემდეგი ასპექტების მიხედვით:
- ა.ა) სასწავლო დაწესებულების სტრუქტურა;
  - ა.ბ) სასწავლო დაწესებულების გეგმები და მიზნები;
  - ა.გ) ორგანიზაციის უფლებამოსილება;
  - ა.დ) სახელმძღვანელოები, ჟურნალები, ჩანაწერები;
  - ა.ე) სწავლების სტანდარტები;
  - ა.ვ) ორგანიზაციის მართვის სისტემასთან დაკავშირებული პროცედურები და სახელმძღვანელოები.

## ბ) საორგანიზაციო მოწყობა

- ბ.ა) სასწავლო დაწესებულების მიერ ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მუდმივი შესრულების უზრუნველსაყოფად, პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა უნდა დანიშნოს შესაბამისობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი. შესაბამისობის

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის ძირითადი ფუნქცია იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ განხორციელდეს სასწავლო დაწესებულების საქმიანობის მოქმედ მოთხოვნებთან და ორგანიზაციის მიერ დადგენილ რომელიმე დამატებით მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობა და რომ აღნიშნული საქმიანობა ხორციელდებოდეს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მეთვალყურეობის ქვეშ. მცირე ზომის სასწავლო დაწესებულების შემთხვევაში, შესაბამისობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები შეიძლება შეასრულოს ერთმა პიროვნებამ.

ბ.ბ) შესაბამისობაზე ზედამხედველობის მენეჯერს უფლება აქვს თვითონ ჩაატაროს ყველა აუდიტი და საინსპექციო შემოწმება ან დანიშნოს ერთი ან მეტი აუდიტორი საკუთარ ორგანიზაციაში ან სხვაგან შერჩეული ისეთი პერსონალიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია.

ბ.გ) შერჩეული ვარიანტის მიუხედავად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სააუდიტორო ქმედებების დამოუკიდებლობა, კერძოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პირები, რომლებიც აუდიტს ან საინსპექციო შემოწმებას ატარებენ, სასწავლო დაწესებულებთან სხვა ფუნქციებსაც ასრულებენ.

ბ.დ) იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისობის აუდიტს ან საინსპექციო შემოწმებას გარედან მოწვეული პირები ატარებენ:

ბ.დ.ა) აღნიშნული აუდიტები და საინსპექციო შემოწმებები ტარდება შესაბამისობაზე ზედამხედველობის მენეჯერის პასუხისმგებლობის ქვეშ; და

ბ.დ.ბ) სასწავლო დაწესებულები ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გარედან მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს აუდიტის ან საინსპექციო შემოწმების ჩასატარებლად საჭირო ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება, შესაბამისობაზე ზედამხედველობის კუთხით ცოდნის და გამოცდილების ჩათვლით.

ბ.ე) სასწავლო დაწესებულება ერთპიროვნულად პასუხისმგებელია შესაბამისობაზე ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურობაზე, კერძოდ, ყველა გამოსასწორებელი ღონისძიებების ეფექტიან განხორციელებასა და კონტროლზე.

ბ.ვ) შესაბამისობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობებში შედის შესაბამისობაზე ზედამხედველობის პროგრამის სათანადო შესრულება, მუდმივი გადახედვა და გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

ბ.ზ) შესაბამისობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი:

ბ.ზ.ა) უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდეს პასუხისმგებელ ხელმძღვანელს;

ბ.ზ.ბ) უნდა ფლობდეს სასწავლო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ცოდნას, კომპეტენციას და გამოცდილებას, მათ შორის, შესაბამისობაზე ზედამხედველობის სფეროშიც; და

ბ.ზ.გ) მას უნდა ჰქონდეს სასწავლო დაწესებულების და, საჭიროებისამებრ, მისი კონტრაქტორების ყველა სტრუქტურულ ერთეულში შეღწევის უფლება.

გ) შესაბამისობაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია:

გ.ა) უნდა მოიცავდეს სასწავლო დაწესებულების ორგანიზაციის მართვის სისტემის დოკუმენტაციას;

გ.ბ) გარდა ამისა, დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გ.ბ.ა) ტერმინოლოგია;

გ.ბ.ბ) საქმიანობასთან მიმართებაში დადგენილი მოთხოვნები;

- გ.ბ.გ) ინფორმაცია სასწავლო დაწესებულების შესახებ;
- გ.ბ.დ) უფლება-მოვალეობების განაწილება;
- გ.ბ.ე) ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცედურები;
- გ.ბ.ვ) შესაბამისობაზე ზედამხედველობის პროგრამა, რომელიც უნდა მოიცავდეს:
  - გ.ბ.ვ.ა) ზედამხედველობის პროგრამის შესრულების გრაფიკს;
  - გ.ბ.ვ.ბ) აუდიტის პროცედურებს;
  - გ.ბ.ვ.გ) ანგარიშგების პროცედურებს;
  - გ.ბ.ვ.დ) შემდგომი ქმედებებისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარების პროცედურებს;
  - გ.ბ.ვ.ე) ჩანაწერების წარმოების სისტემას;
- გ.ბ.ზ) მომზადების პროგრამის სილაბუსს დ.ბ) შესაბამისად;
- გ.ბ.თ) დოკუმენტაციის კონტროლი;

დ) სწავლება;

დ.ა) ყოველი სასწავლო დაწესებულებისათვის სწორი და საფუძვლიანი სწავლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის თვალსაზრისით. აღნიშნული სწავლებისაგან მნიშვნელოვანი შედეგების მისაღებად, სასწავლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა პერსონალმა გააცნობიეროს შესაბამისობაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები;

დ.ბ) პირებმა, რომლებსაც ეკისრებათ შესაბამისობაზე ზედამხედველობის ფუნქცია, უნდა გაიარონ შესაბამისი სწავლება. სწავლების კურსი უნდა მოიცავდეს შესაბამისობაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული მოთხოვნების, სახელმძღვანელოების და პროცედურების, აუდიტის ჩატარების მეთოდების, ანგარიშგების და ჩანაწერების წარმოების შესწავლას;

დ.გ) საკმარისი დრო უნდა იყოს გამოყოფილი იმისათვის, რომ შესაბამისობაზე ზედამხედველობაში ჩართულმა პერსონალმა გაიაროს შესაბამისი სწავლება, ხოლო დანარჩენმა პერსონალმა - ინსტრუქტაჟი;

დ.ე) დროის და რესურსების განაწილება უნდა ხდებოდეს სასწავლო დაწესებულების საქმიანობის მასშტაბიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე.

## **7. კონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურების ზედამხედველობის ვალდებულება**

ა) სასწავლო დაწესებულებას უფლება აქვს საკუთარი საქმიანობის გარკვეული ნაწილი ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს სხვა კონტრაქტორ ორგანიზაციას.

ბ) სასწავლო დაწესებულებასა და კონტრაქტორს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომელშიც გარკვეულად განსაზღვრული უნდა იყოს კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ შესასრულებელი სამუშაოები და ამასთან დაკავშირებით მოქმედი მოთხოვნები.

გ) კონტრაქტით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, უნდა იყოს ჩართული სასწავლო დაწესებულების უსაფრთხოების მართვისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის პროგრამებში.

დ) სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ დაქირავებულ კონტრაქტორს ჰქონდეს ყველა საჭირო უფლებამოსილება ან ნებართვა, განკარგოს საჭირო რესურსები და მის პერსონალს ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად.

ე) მიუხედავად კონტრაქტორი ორგანიზაციის სერტიფიკატით მინიჭებული უფლებამოსილებისა, სასწავლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს, რომ

კონტრაქტით გადაცემული საქმიანობა გადის საფრთხის იდენტიფიკაციისა და რისკების მართვის პროცესებს, აგრეთვე, შესაბამისობაზე ზედამხედველობის პროცესებს.

ვ) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორ ორგანიზაციას გააჩნია კონტრაქტით გადაცემული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სერტიფიკატი, სასწავლო დაწესებულების შესაბამისობის ზედამხედველობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს იმის შემოწმება, რომ სერტიფიკატი ეფექტურად ფარავს კონტრაქტით გადაცემულ საქმიანობას და ძალაშია.

დანართი 10. სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების განაცხადის  
ფორმა

1. განმცხადებლის მონაცემები/Applicant's Reference		
<p>სახელწოდება და მისამართი(იურიდიული დასახელება და მისამართი/კომპანიის სამართლებრივი ფორმა). საჭიროებისამებრ, სამეთვალყურეო პუნქტის/პუნქტების ჩამონათვალი;</p> <p>Name and Address (registered (business) name and address/legal seat of the company). Where relevant, the list of ATC units.</p>	საიდენტიფიკაციო კოდი/ Account Number	
	კომპანიის დასახელება/Company Name	
	მისამართი ქუჩა/ Street / Nr	
	საფოსტო ინდექსი/ Post Code	
	ქალაქი/City	
	ქვეყანა/Country	
	სამეთვალყურეო პუნქტი/პუნქტები/ATC unit(s)	
<p>საკონტაქტო პიროვნება(რომელიც პასუხისმგებელია განაცხადზე);</p> <p>Contact Person (responsible for this application).</p>	სახელი Name	
	გვარი/First name	
	თანამდებობა/ Job title	
	ტელეფონი/ფაქსი/ Phone/Fax	
	ელექტრონული მისამართი/ Email	
2. ფაქტიური მისამართი		
<p>სასწავლო დაწესებულების ობიექტის სახელწოდება და მისამართი რომელიც განსხვავებულია იურიდიული მისამართისგან. საჭიროებისამებრ, სამეთვალყურეო</p>	კომპანიის დასახელება/(Company) Name	
	მისამართი ქუჩა/ Street / Nr	
	საფოსტო ინდექსი/ Post Code	
	ქალაქი/City	

<p>პუნქტის/პუნქტების ჩამონათვალი;</p> <p>Name and Location Address of the place(s) other than business address including, where relevant, the list of ATC units.</p>	<p>ქვეყანა/Country</p> <p>სამეთვალყურეო პუნქტი/პუნქტები/ATC unit(s)</p>	
--	---	--

**3. საქმიანობის იდენტიფიცირება/Identification of Activity**

<p>3.1 საქმიანობა/Activity</p>	<p>3.1.1 <input type="checkbox"/> პირველადი განაცხადი ATCO სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის მისაღებად/ Application for initial ATCO Training Organisation Certificate</p> <p>3.1.2 <input type="checkbox"/> განაცხადი ATCO სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატში ცვლილების შესატანად/ Application for change to ATCO Training Organisation Certificate</p>
--------------------------------	---

<p>3.2 ორგანიზაციის სერტიფიცირების საფუძველი (გთხოვთ მიუთითოთ მხოლოდ 3.1.2-ის დროს)</p> <p>Original Approval Ref. please complete in case of 3.1.2</p>	
--	--

<p>3.3 გაცემულია (გთხოვთ მიუთითოთ მხოლოდ 3.1.2-ის დროს)</p> <p>Issued by please complete in case of 3.1.2</p>	
---	--

**4. სწავლების ტიპები/Type(s) of Training**

**4.1  პირველადი სწავლება/ATCO Initial Training**

კურსი Course	ოსტატობა/Ratings	ოსტატობის დაშვება/Rating endorsements
<input type="checkbox"/> საბაზო სწავლება/Basic Training	N/A	N/A
<input type="checkbox"/> ოსტატობის მისაღებად საჭირო სწავლება/Rating Training		N/A
	<input type="checkbox"/> სააეროდრომო კონტროლი	<input type="checkbox"/> სააეროდრომო კონტროლი დაკვირვების რეჟიმით/Aerodrome Control Surveillance (SUR)

	/Aerodrome Control (ADC)	
	<input type="checkbox"/> მისადგომის პროცედურული კონტროლი /Aerodrome Control Procedural (APP)	
	<input type="checkbox"/> მისადგომის კონტროლი დაკვირვების რეჟიმით / Approach Control Surveillance (APS)	<input type="checkbox"/> დასაფრენი რადიოლოკატორი/Precision Approach Radar (PAR)
	<input type="checkbox"/> სამეთვალყურეო რაიონის პროცედურული კონტროლი / Area Control Procedural (ACP)	<input type="checkbox"/> მისადგომის მიმოხილვითი რადიოლოკატორი/Surveillance Radar Approach (SRA)
	<input type="checkbox"/> სამეთვალყურეო რაიონის კონტროლი დაკვირვების რეჟიმით /Area Control Surveillance (ACS)	<input type="checkbox"/> ოკეანის კონტროლი/Oceanic Control (OCN)
	<input type="checkbox"/> ოკეანის კონტროლი/Oceanic Control (OCN)	
შენიშვნები/Remarks		
<b>4.2 <input type="checkbox"/> პუნქტზე მომზადება/ATCO Unit Training</b>		
შენიშვნები/Remarks		
<b>4.3 <input type="checkbox"/> კვალიფიკაციის შენარჩუნების სწავლება/ATCO Continuation Training</b>		

კურსი/Course	<input type="checkbox"/> განმეორებითი სწავლება/ATCO Refresher training <input type="checkbox"/> გადამზადება ATCO Conversion training
შენიშვნები/Remarks	
<b>4.4 <input type="checkbox"/> პრაქტიკული ინსტრუქტორის სწავლება/ATCO Practical Instructor Training</b>	
შენიშვნები/Remarks	
<b>4.5 <input type="checkbox"/> შემფასებლის სწავლება/ATCO Assessor Training</b>	
შენიშვნები/Remarks	
<b>5 . მოქმედ სერტიფიკატში შესატანი ცვლილებების აღწერილობა/Description of changes applied for under existing Approved Certificate</b>	
5.1 <input type="checkbox"/> საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული ცვლილებები Changes to the Organisation	<i>აღწერილობა/description</i>
5.2 <input type="checkbox"/> პირობებსა და უფლებებთან დაკავშირებული ცვლილებები Changes to the scope/privileges	<i>აღწერილობა/description</i>
<b>6.სხვა/ Other</b>	
6.1. დასაქმებული პერსონალის რაოდენობა Number of staff	
6.2 საქმიანობის დაწყების ან ცვლილების განხორციელების სავარაუდო თარიღი date of intended start of activity or change	
<b>7 . განცხადება და ხელმოწერა</b>	

ვაცხადებ, რომ ამგანაცხადში მითითებული ყველა ინფორმაციასრული და უტყუარია.

<b>თარიღი/მდებარეობა</b> <b>Date/Location</b>	<b>პასუხისმგებელი ხელმძღვანელის სახელი და გვარი</b> <b>Name of Accountable Manager</b>	<b>ხელმოწერა</b> <b>Signature</b>

წინამდებარე განაცხადის წარდგენა ხდება ოფიციალური კორესპონდენციით:

თბილისი, I ხეივანის ქუჩის დასაწყისი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

This Application should be submitted to GCAA:

Tbilisi, Beginning of I Kheivani Street

Georgian Civil Aviation Agency

# დანართი 11. სერტიფიკატის ფორმა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო  
CIVIL AVIATION AGENCY OF GEORGIA

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი №  
AIR TRAFFIC CONTROLLER TRAINING ORGANIZATIONS (ATCO TOs) CERTIFICATE №

[სერტიფიკატის № XX]  
[CERTIFICATE №XX]

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ... წესის თანახმად, ქვემოთ მითითებული პირობების გათვალისწინებით სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ასერტიფიცირებს  
Pursuant to GCAA Rule №..., and subject to the conditions specified below, Georgian Civil Aviation Agency Hereby Certifies

[სასწავლო დაწესებულების დასახელება]  
[Name of the Training Organization]

მდებარე მისამართზე: [სასწავლო დაწესებულების მისამართი]  
Located: [Address of the Training Organization]

როგორც საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების მიმართ არსებული მოთხოვნების შესაბამისად სერტიფიცირებულ სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებას ანიჭებს მას უფლებამოსილებას, განახორციელოს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა სწავლება თანდართულ ჩამონათვალში მითითებულ შეთანხმებულ სასწავლო კურსებზე.

As Air Traffic Controller Certified Training Organization with the privilege to provide Air Traffic Controller training, as listed in the attached training Approval.

**სერტიფიცირების პირობები და პრივილეგიები**  
**Terms of approval and privileges**

წინამდებარე სერტიფიკატი ადგენს თანდართულ ჩამონათვალში მითითებული შეთანხმებული სასწავლო კურსების განხორციელების პრივილეგიებსა და სფეროს.

This Certificate is limited to the privileges and the scope of providing training as listed in the attached training approval.

წინამდებარე სერტიფიკატი ძალაშია, სანამ სერტიფიკატის მფლობელი სასწავლო დაწესებულება აკმაყოფილებს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

This Certificate is valid whilst the certified organization remains in compliance with Air Traffic Controller Training Organization Requirements.

აღნიშნული პირობებისა და უფლებამოსილების შესაბამისად, წინამდებარე სერტიფიკატი იქნება ძალაში სანამ არ მოხდება მისი ჩაბარება, შეცვლა, შეზღუდვა, შეჩერება ან გაუქმება.

Subject to compliance with the foregoing terms of approval and privileges, this certificate shall remain valid unless the certificate has been surrendered, superseded, limited, suspended or revoked.

გაცემის თარიღი:  
Date of issue:

ხელმოწერა:  
Signed:

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო/Georgian Civil Aviation Agency

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი  
შეთანხმებული სასწავლო კურსები  
**AIR TRAFFIC CONTROLLERS TRAINING ORGANIZATION CERTIFICATE  
TRAINING APPROVAL**

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის დანართი  
Attachment to Air traffic Controller Training Organization Certificate

[სერტიფიკატი № XXXX ]

[CERTIFICATE № XXXX ]

[სასწავლო დაწესებულების დასახელება / NAME OF THE TRAINING ORGANIZATION]

**მ ი ა ჰ ა ე რ ა უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ა , ATCO წესის შესაბამისად განახორციელოს შემდეგი სწავლებები:  
Has obtained the privileges to provide and conduct the following trainings in accordance with ATCO Rule:**

სასწავლო კურსების სახეობები / TYPE(s) OF TRAINING			
სასწავლო კურსის სახეობა/Type of Training	სასწავლო კურსი/Training Courses	ოსტატობის დაშვება / Rating Endorsement	შენიშვნა (ჰ)
<input type="checkbox"/> საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის პირველადი სწავლება / ATCO Initial Training	<input type="checkbox"/> საბაზო სწავლება / Basic training	არ შეესაბამება / N/A	
	<input type="checkbox"/> ოსტატობის შესწავლის კურსი /Rating Training		
<input type="checkbox"/> საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის პუნქტზე მომზადება / ATCO Unit Training	<i>ჩამონათვალი</i>		
<input type="checkbox"/> საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის კვალიფიკაციის შენარჩუნების/აღდგენის სწავლება / ATCO Continuation Training	<input type="checkbox"/> განმეორებითი სწავლება / ATCO Refresher training	არ შეესაბამება / N/A	
	<input type="checkbox"/> გადამზადების კურსი / ATCO Conversion training	არ შეესაბამება / N/A	
<input type="checkbox"/> პრაქტიკული სწავლების ინსტრუქტორების მომზადება / Practical instructor training	არ შეესაბამება (არ ეხება, არ მოითხოვება) / N/A	არ შეესაბამება / N/A	
<input type="checkbox"/> შემფასებლის მომზადება / Assessor training	არ შეესაბამება / N/A	არ შეესაბამება / N/A	

შეთანხმებული სასწავლო კურსები ძალაშია სანამ:

ა) საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი არ იქნება ჩაბარებული, შეცვლილი, შეზღუდული,

შეჩერებული ან გაუქმებული და / ATCO TO Certificate has not been surrendered, superseded, limited, suspended or revoked; and  
ბ) სასწავლო დაწესებულება ფუნქციონირებს ამ წესისა და სხვა სათანადო მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მოთხოვნის თანახმად სააგენტოსთან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებში არსებული პროცედურების დაცვით. / All operations are conducted in compliance with this regulation, other applicable regulations and, when relevant with the procedures in the organization's documentation.

გაცემის თარიღი:

Date of issue:

**ხელმოწერა:**

**Signed:**

**საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო/Georgian Civil Aviation Agency**

## დანართი 12. სერტიფიკატის ფორმა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო  
CIVIL AVIATION AGENCY OF GEORGIA

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი №  
AIR TRAFFIC CONTROLLER TRAINING ORGANIZATIONS (ATCO TOs) CERTIFICATE №

[სერტიფიკატის № XX]  
[CERTIFICATE №XX]

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ... წესის თანახმად, ქვემოთ მითითებული პირობების გათვალისწინებით სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ასერტიფიცირებს  
Pursuant to GCAA Rule №..., and subject to the conditions specified below, Georgian Civil Aviation Agency Hereby Certifies

[სასწავლო დაწესებულების დასახელება]  
[Name of the Training Organization]

მდებარე მისამართზე: [სასწავლო დაწესებულების მისამართი]  
Located: [Address of the Training Organization]

როგორც საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების მიმართ არსებული მოთხოვნების შესაბამისად სერტიფიცირებულ სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებას ანიჭებს მას უფლებამოსილებას, განხორციელოს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა სწავლება თანდართულ ჩამონათვალში მითითებულ შეთანხმებულ სასწავლო კურსებზე.

As Air Traffic Controller Certified Training Organization with the privilege to provide Air Traffic Controller training, as listed in the attached training Approval.

სერტიფიცირების პირობები და პრივილეგიები  
Terms of approval and privileges

წინამდებარე სერტიფიკატი ადგენს თანდართულ ჩამონათვალში მითითებული შეთანხმებული სასწავლო კურსების განხორციელების პრივილეგიებსა და სფეროს.

This Certificate is limited to the privileges and the scope of providing training as listed in the attached training approval.

წინამდებარე სერტიფიკატი ძალაშია, სანამ სერტიფიკატის მფლობელი სასწავლო დაწესებულება აკმაყოფილებს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

This Certificate is valid whilst the certified organization remains in compliance with Air Traffic Controller Training Organization Requirements.

აღნიშნული პირობებისა და უფლებამოსილების შესაბამისად, წინამდებარე სერტიფიკატი იქნება ძალაში სანამ არ მოხდება მისი ჩაბარება, შეცვლა, შეზღუდვა, შეჩერება ან გაუქმება.

Subject to compliance with the foregoing terms of approval and privileges, this certificate shall remain valid unless the certificate has been surrendered, superseded, limited, suspended or revoked.

გაცემის თარიღი:  
Date of issue:

ხელმოწერა:  
Signed:

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო/Georgian Civil Aviation Agency

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი  
შეთანხმებული სასწავლო კურსები  
**AIR TRAFFIC CONTROLLERS TRAINING ORGANIZATION CERTIFICATE**  
**TRAINING APPROVAL**

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის დანართი  
Attachment to Air traffic Controller Training Organization Certificate

[სერტიფიკატი № XXXX ]

[CERTIFICATE № XXXX ]

[სასწავლო დაწესებულების დასახელება / NAME OF THE TRAINING ORGANIZATION]

**მოიპოვა უფლებამოსილება, ATCO წესის შესაბამისად განახორციელოს შემდეგი სწავლებები:**  
**Has obtained the privileges to provide and conduct the following trainings in accordance with ATCO Rule:**

სასწავლო კურსების სახეობები / TYPE(s) OF TRAINING			
სასწავლო კურსის სახეობა/Type of Training	სასწავლო კურსი/Training Courses	ოსტატობის დაშვება / Rating Endorsement	შენიშვნა (3)
<input type="checkbox"/> საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის პირველადი სწავლება / ATCO Initial Training	<input type="checkbox"/> საბაზო სწავლება / Basic training	არ შეესაბამება / N/A	
	<input type="checkbox"/> ოსტატობის შესწავლის კურსი /Rating Training		
<input type="checkbox"/> საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის პუნქტზე მომზადება / ATCO Unit Training	<i>ჩამონათვალი</i>		
<input type="checkbox"/> საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის კვალიფიკაციის შენარჩუნების/აღდგენის სწავლება / ATCO Continuation Training	<input type="checkbox"/> განმეორებითი სწავლება / ATCO Refresher training	არ შეესაბამება / N/A	
	<input type="checkbox"/> გადამზადების კურსი / ATCO Conversion training	არ შეესაბამება / N/A	
<input type="checkbox"/> პრაქტიკული სწავლების ინსტრუქტორების მომზადება / Practical instructor training	არ შეესაბამება (არ ეხება, არ მოითხოვება) / N/A	არ შეესაბამება / N/A	
<input type="checkbox"/> შემფასებლის მომზადება / Assessor training	არ შეესაბამება / N/A	არ შეესაბამება / N/A	

შეთანხმებული სასწავლო კურსები ძალაშია სანამ:

ა) საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი არ იქნება ჩაბარებული, შეცვლილი, შეზღუდული, შეჩერებული ან გაუქმებული და / ATCO TO Certificate has not been surrendered, superseded, limited, suspended or revoked; and

ბ) სასწავლო დაწესებულება ფუნქციონირებს ამ წესისა და სხვა სათანადო მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მოთხოვნის თანახმად სააგენტოსთან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებში არსებული პროცედურების დაცვით. / All operations are conducted in compliance with this regulation, other applicable regulations and, when relevant with the procedures in the organization's documentation.

გაცემის თარიღი:

Date of issue:

**ხელმოწერა:**

**Signed:**

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო/Georgian Civil Aviation Agency